# განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონის პროექტზე

## „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

### ა)ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ მოქმედი კანონმდებლობით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსათვის გათვალისწინებული ჰონორარი შეუსაბამოა მათ ფუნქციებსა და პასუხიმგებლობასთან (მიმდინარე წელს მრჩეველის ყოველთვიური ჰონორარი შეადგენდა დარიცხვით 1000 (ათას) ლარს). გარდა ამისა, მრჩეველთა საბჭოსათვის გათვალისწინებული თანხებით ხდება მრჩეველთა საბჭოს აპარატში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, სამივლინებო თანხების ანაზღაურება, სხვადასხვა სახის კვლევების ჩატარება და აუდიტის მომსახურების შესყიდვა. მოქმედი კანონმდებლობით გამოყოფილი თანხა არ ყოფნის აღნიშნული მომსახურებების სრულყოფილი სახით შესყიდვას.

ამასთანავე, კანონის ერთ-ერთ მუხლში გვხვდება ტერმინოლოგიური შეუსაბამობა. კერძოდ: კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მრჩეველთა საბჭო განსაზღვრავს პროგრამულ პრიორიტეტებს, ხოლო ამავე მუხლის ,,კ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მრჩეველთა საბჭო ადგენს პროგრამულ პრიორიტეტებს და ათანხმებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო უზრუველყოს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ფინანსური რესურსით.

ასევე: გასწორდეს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში არსებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობა.

კანონის ერთიანი გაგებისათვის მიზანშეწონილია ორივე ნორმაში იყოს ერთი და იგივე ტერმინი ,,განსაზღვრავს'', რომელიც უფრო მიესადაგება მთლიან შინაარს, რადგანაც მრჩეველთა საბჭოს მიერ პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ ხდება მისი შეთანხმება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრთა ნორმალური ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

**ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღებამ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომლებსაც კანონპროექტი ეხება.

.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის ან მათი განსაზღვრის პრინციპის ცვლილებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

დ. ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო

დ. ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ არსებობს

**ე) კანონპროექტის ავტორი: ფრიდონ საყვარელიძე**

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი: ფრიდონ საყვარელიძე**